



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 8.09.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 02. 11. 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ქართული ფილოლოგიის დოქტორი / PhD in Philology, 0232
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	40
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინა ლობჯანიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ელბაქიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი მანველიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განეკუთვნება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მერვე დონეს და შემუშავებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პროგრამის წარმატებულად გავლის შემთხვევაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: „ქართული ფილოლოგიის დოქტორი“.

წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე ვლინდება, რომ სრული კურსის მოცულობა შეადგენს სასწავლო კომპონენტის 40 კრედიტს, რომელთაგან პროფესორის ასისტირება (15 კრედიტი), სემინარი (10 კრედიტი) და სასწავლო კომპონენტი (15 კრედიტი: 5 სავალდებულო და 10 არჩევითი). 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს. კვლევითი კომპონენტი კი გულისხმობს დისერტაციის მომზადებასა და დაცვას.

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან: ლიტერატურათმცოდნეობა და ქართველური ენათმეცნიერება.

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წლისა (ექვსი სემესტრი), რაც დგინდება დოქტორანტურაში სწავლის პირობების განმარტებით. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეუძლია სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და, შესაბამისად, მისი წარმოდგენის ვადის გახანგრძლივება.

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დანიშნულებაა: “დისერტაციის სახით შექმნას ახალი მეცნიერული ცოდნა ქართულ ფილოლოგიაში ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით”.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ცენტრის დირექტორის 2020 წლის 21 ივლისის N618365 ბრძანების თანახმად, 2020 წლის 8 სექტემბერს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტზე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნ. პოპიაშვილი (თავმჯდომარე), ი. ლობჯანიძე, მ. ელბაქიძე, ნ. მანველიშვილი. ვიზიტი შედგა დისტანციურად zoom პროგრამის მეშვეობით. რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ, 31 აგვისტოს მოხდა ექსპერტთა ჯგუფის დისტანციური შეხვედრა და განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დისტანციური ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ძველი პროგრამის სტუდენტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან.

დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი მიზნები შეესაბამება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც ყველანაირად მხარს უჭერს პროგრამის ორგანიზებასა და შემდგომ განვითარებას, რაც ჩანს პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. თუმცა სადოქტორო პროგრამა საჭიროებს შრომითი ბაზრის საგულდაგულო კვლევას, ფილოლოგიის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულთა საჭიროებიდან გამომდინარე.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჭიროებს დახვეწას შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის უზრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, სასწავლო კურსების შინაარსი, დარგობრივ მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული კურსების სიმწირე, ინოვაციური მეთოდების გააზრების მექანიზმი განსაზღვრულად ზღუდავს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევადობას. იმის გათვალისწინებით კი, რომ პროგრამის შედეგების მიღწევა რთულდება, ბუნებრივია, კურსდამთავრებული სათანადოდ ვერ იქნება კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე (საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტში ადრე არსებული მსგავსი პროგრამის დოქტორანტები პროგრამის გავლამდეც დასაქმებული იყვნენ, ძირითადად, საშუალო სკოლებში და ახლაც იქ აგრძელებენ საქმიანობას).

გარდა ამისა, აღსანიშნავია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დაბალი დონე, რაც არ ამღევს სტუდენტს სწავლის დროს მიღებული შედეგების გამყარებას საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების ან უცხო ქვეყნის აკადემიურ წრეებთან ურთიერთობისას, თუმცა ჩანს უნივერსიტეტის სურვილი აღნიშნული მიმართულების გაძლიერებისა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციის განსაზღვრული სქემა, რომელიც საჭიროებს დახვეწას.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ამ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსი. თუ პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებლებს არ ჰყოფნით კვლევითი პოტენციალი, რაც რეგიონის პირობების გათვალისწინებით სავსებით შესაძლებელია, უნივერსიტეტს გათვალისწინებული აქვს გარედან ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მოწვევა. კვლევითი პოტენციალის გაზრდა კი პირდაპირ კავშირშია პრაქტიკულ, სამეცნიერო/კვლევით და ტრანსფერული უნარების განვითარებათან, რაც რიგ შემთხვევაში საჭიროებს დახვეწა-გაუმჯობესებას.

▪ რეკომენდაციები

- მოხდეს შრომითი ბაზრის საგულდაგულო კვლევა ფილოლოგიის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პროგრამის პოტენციურ კურსდამთავრებულთა რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე.
- მოხდეს პროგრამის კურსებით ისედაც გათვალისწინებული "პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის" ელემენტის სილაბუსებში ასახვა.
- მოხდეს პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის მიღების წინაპირობასთან;
- მოხდეს მიღების წინაპირობის შეზღუდვა ქვედარგის შესაბამისი ან მომიჯნავე სპეციალობების დარგობრივი საბაზისო ცოდნის აუცილებლობიდან გამომდინარე;
- მოხდეს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის პროცედურული დანიშვნის სქემის შემუშავება დოქტორანტობის კანდიდატისათვის.
- მოხდეს პროგრამის კურიკულუმიდან ინფორმაციის ამოღება იმ საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ, რომლებიც არანაირ კავშირშია პროგრამასთან (მაგ. New England Journal of Medicine (<http://www.nejm.org/>, IMechE Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche>) და ა.შ.);
- განისაზღვროს რუსული ენის სტატუსი პროგრამისა და/ან სილაბუსების წინაპირობის დონეზე ან მოხდეს სილაბუსებიდან იმ ლიტერატურის ამოღება, რომლის წაკითხვას სტუდენტები ენის არცოდნის გამო ვერ მოახერხებენ;
- ხარისხის დაბალანსების მიზნით მოხდეს პროგრამაში ჩართული ქვედარგების გათანაბრება „ქართული ლიტერატურისა“ და „ქართული ენის“ ქვემოდულების სახით;
- მოხდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭირო ინოვაციური მეთოდოლოგიის ასახვა პროგრამის სილაბუსებში ;
- მიზანშეწონილია განისაზღვროს დოქტორანტის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის სტატუსები სადისერტაციო ნაშრომის დაგეგმვისა და ნაშრომზე მუშაობის შესაბამისად;
- რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს ლინგვისტურ კვლევით მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული კურს(ებ)ის შემოღება, რომელიც მოიცავს ენის დოკუმენტირების, სავლე პრაქტიკის განხორციელების, მოგროვილი მონაცემების დამუშავებისა და ლინგვისტური ანოტირების მეთოდოლოგიურ ჩარჩოს.
- მოხდეს სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის ბლოკში მითითებული ლიტერატურის სასწავლო კურსის შინაარსისა და კალენდარული გეგმის

ლიტერატურის შესაბამისი გვერდების ველში ასახვა ან მოხდეს კურსისთვის შეუსაბამო ლიტერატურის სავალდებულო ლიტერატურის ბლოკიდან ამოღება;

- მოხდეს საგნის „სიკვდილ-სიცოცხლის არსის მხატვრული გააზრება ქართულ მწერლობაში“ გაუქმება, რათა არ მოხდეს საგნებს შორის თემატური და შინაარსობრივი გადაფარვა;
- მოხდეს დუბლირებული თემატიკების ამოღება ან კონკრეტული საგნის გაუქმება.
- დაზუსტდეს დოქტორანტის ხვედრითი წილი ხელმძღვანელთან/სხვა თანაავტორთან გამოქვეყნებული ნაშრომის ან კონფერენციაზე წარდგენილი სტატიის შემთხვევაში;
- მოხდეს პროგრამაში ჩართული პროფესორების წახალისება ფილოლოგიის მიმართულებით როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა კვლევით პროექტებში მონაწილეობის თვალსაზრისით;
- პროგრამაში ჩართულ პროფესორებსა და დოქტორანტებს დროულად მიეწოდოს ინფორმაცია თუ რა პრინციპით უნდა ხდებოდეს ჟურნალის მახასიათებლების (h-index, CiteScore და ა.შ.) შემოწმება და განსაზღვრა;
- მოხდეს დარგში არსებული რეფერირებადი ჟურნალების სიის შემუშავება მათ შორის საერთაშორისო ბაზებში (SCOPUS, EBSCO და ა.შ.) შესული ჟურნალებისა ქართული ფილოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- მოხდეს სავსე პრაქტიკის დროს მოპოვებული მასალის დამუშავება დარგში არსებული კომპიუტერული უზრუნველყოფისა და მეთოდოლოგიური ჩარჩოს გათვალისწინებით.
- მოხდეს სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის უფრო მკაფიოდ განსაზღვრა და გაფორმების წესის შემოღება აკადემიური საზოგადოების მიერ მსოფლიოში აღიარებული სტილის (APA, Chicago, GOST, Harvard და ა.შ.) შესაბამისად;
- მოხდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების კრიტერიუმის შემუშავება კონკრეტული პარამეტრების მითითების გზით;
- სადისერტაციო საბჭოს დებულების 12,2 პუნქტში მითითებულ ა, ბ, გ და დ მუხლებს შეემატოს სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ნუსხებში შესულ რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში.
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია მაღალრეიტინგული, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ, განსაკუთრებით, იმ დარგობრივი გამოცემების შესახებ, რომლებიც აღნიშნულ სამეცნიერო ბაზებშია გაწევრიანებული;

- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ბაზებში პუბლიკაციის წესის, ნაშრომის აგებულების, ციტირების წესისა და სხვა საკითხების შესახებ.
 - მოხდეს შიდა ხარისხის შეფასებების მიხედვით გამოვლენილი საჭიროებების ასახვა უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით პროცესებში;
 - მიზანშეწონილია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს მიზნობრივად, საზღვარგარეთ არსებულ ქართველოლოგიურ/კავკასიოლოგიურ კვლევით ცენტრებში;
 - მოხდეს გარე შეფასების დროს შეფასებითი და სარეკომენდაციო საკითხების სავალდებულო კომპონენტად შეტანა.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- მოხდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება საერთაშორისო კავშირების დამყარების გზით და პროფესორ-მასწავლებლების კვლევით პროექტებში ჩართულობის კუთხით.
 - მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩოს სამ ელემენტიან სქემასთან შესაბამისობაში მოყვანა;
 - მოხდეს პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, პოტენციური დამსაქმებლების უფრო მაღალ დონეზე ჩართვა.
 - სასურველია, რომ ინგლისური ენის გამოცდას ჩაენაცვლოს უცხო ენის გამოცდა შემდეგ ენებში: ინგლისური, გერმანული და ფრანგული;
 - პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მოხდეს პროგრამაში წარმოდგენილი კურსების შესაბამისობაში მოყვანა პროგრამაზე მიღების წინაპირობასთან ქვედარგის და/ან ქვედარგების წინასწარი საბაზისო ცოდნის მიღების უზრუნველყოფის მიზნით (იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მიღების წინაპირობის შეზღუდვა ქვედარგის სპეციფიკიდან გამომდინარე);
 - განისაზღვროს და კვლევითი განაცხადის წარდგენამდე დოქტორანტობის კანდიდატებისათვის იყოს შეთავაზებული სადისერტაციო კვლევების შესაძლო მიმართულებანი განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორების კვლევითი ინტერესიდან გამომდინარე;

- მოხდეს სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკის, საგამოცდო საკითხებისა და ლიტერატურის სიის პროცედურული დამტკიცების განსაზღვრა დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.
 - ჩასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამის სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებასა და თვითშეფასების ანგარიშში კვლევით კომპონენტში კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით.
 - მოხდეს ელექტრონულ სწავლებაზე ორიენტირებული ელექტრონული რესურსების პროგრამის სილაბუსებში ასახვა.
 - მოხდეს ელექტრონულ სწავლებაზე ორიენტირებული ელექტრონული რესურსების პროგრამის სილაბუსებში ასახვა;
 - მოხდეს პლაგიატის აღმოჩენაზე ორიენტირებული პროგრამის (Turnitin) გამოყენების სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურებში ასახვა.
 - მოხდეს დოქტორანტებისათვის ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობების შესახებ საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებისა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის თვალსაზრისით;
 - მოხდეს სტრუქტურული რგოლის შემოღება, რომელიც დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტის პროფესორებსა და დოქტორანტებს როგორც კვლევითი პროექტების შედგენის, ასევე გრანტების მოძიების თვალსაზრისით.
 - მოხდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიონალური კომპეტენციის სტაბილურობის უზრუნველყოფა პროექტებში მონაწილეობისა და გრანტების მოძიების თვალსაზრისით.
 - მოხდეს თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული სასწავლო და მეთოდური მასალის მიხედვით პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადება.
-
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
-
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა „უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში; უზრუნველყოს ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევები, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე“.

ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: „დისერტაციის სახით შექმნას ახალი მეცნიერული ცოდნა ქართულ ფილოლოგიაში ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით; გახდეს კონკურენტუნარიანი მკვლევარი, რომელსაც შეუძლია ქართული ფილოლოგიის სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით პრაქტიკული საქმიანობა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში, სწავლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში“.

პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. თუმცა ზოგადად ქვეყნის შრომის ბაზარზე ფილოლოგიის ქვედარგის დასაქმების სფერო და კურსდამთავრებულებზე არსებული მოთხოვნა ძირითადად ორიენტირებულია პედაგოგიურ მოღვაწეობაზე,

რეგიონის თავისებურების გათვალისწინებით კი კონცენტრირებულია უნივერსიტეტის შიდა მოთხოვნაზე შესაბამისი კადრის მომზადების თვალსაზრისით, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ 2014-2018 წლებში მოქმედი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ქართული ფილოლოგიის მოდულის ერთი კურსდამთავრებული ამჟამად უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგია, ხოლო მეორე - სკოლაში მუშაობს

პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჭიროებს დახვეწას განსაკუთრებით მაგისტრის სპეციალობის, სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსის, ზეპირი გამოცდის ფორმატის განსაზღვრის თვალსაზრისით. გარდა ამისა, სასწავლო კურსების შინაარსი და სასწავლო მასალის ოდენობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევადობას. იმის გათვალისწინებით კი, რომ პროგრამის შედეგების მიღწევა ნაკლებად მოსალოდნელია, ბუნებრივია, კურსდამთავრებულზე ვერ იქნება კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე (საგულისხმოა, რომ წინა პროგრამის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, ძირითადად, სკოლებში საქმდება).

გარდა ამისა, აღსანიშნავია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დაბალი დონე, რაც არ აძლევს სტუდენტს სწავლის დროს მიღებული შედეგების გამყარებას საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების ან უცხო ქვეყნების აკადემიურ წრეებთან ურთიერთობისას, თუმცა ჩანს უნივერსიტეტის სურვილი აღნიშნული მიმართულების გაძლიერებისა. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ითვალისწინებს როგორც პროფესორების, ასევე დოქტორანტების კონფერენციებში მონაწილეობის, საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის პუბლიკაციის და სხვა ხარჯებს. "პროფესორის ასისტენტობის" ფარგლებშიც გათვალისწინებულია პროფესორთან ერთად ერთობლივი სამეცნიერო სტატიის მომზადება/გამოქვეყნება ან ერთობლივი სამეცნიერო მოხსენების მომზადება.

პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, თუმცა პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა არ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას (იხ. პუნქტი 1.2, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 5.1, 5.2).

- უნივერსიტეტის მისია, სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება (კოდიფიცირებული) მუხლი 12.1 და 12.2; - სჯსუ-ს ინტერნაციონალიზაციის კონცეფცია; - უნივერსიტეტის ვებგვერდი; - პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში და სილაბუსები; - ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ყოფილ დოქტორანტებთან.
რეკომენდაციები: - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები (მ.ე) - მოხდეს შრომითი ბაზრის საგულდაგულო კვლევა ფილოლოგიის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პროგრამის პოტენციურ კურსდამთავრებულებზე რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - მოხდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება საერთაშორისო კავშირების დამყარების გზით და პროფესორ-მასწავლებლების კვლევით პროექტებში ჩართულობის კუთხით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამული კომპონენტების სტრუქტურა და შინაარსი გულისხმობს, როგორც კვლევითი, ასევე სასწავლო კომპონენტების არსებობას. კვლევითი კომპონენტი დარგობრივია და, ძირითადად, ორიენტირებულია პროგრამის მიერ გათვალისწინებული სადისერტაციო ნაშრომზე. სასწავლო კომპონენტი კი აძლევს დოქტორანტს სავალდებულო და არჩევითი საგნებით 40 კრედიტის დაგროვების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგები კურიკულუმის დონეზე გაწერილია შვიდი კრიტერიუმის საფუძველზე, რომლებიც შინაარსობრივ თანხვედრაშია ზოგადი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს მერვე დონესთან, თუმცა სქემატურად არ ნაწილდება კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩოს სამი კრიტერიუმის მიხედვით, როგორცაა ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) უნარი და; გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სილაბუსების დონეზეც კონკრეტული კურსის შედეგებშიც მოიაზრება მხოლოდ ორი კრიტერიუმი როგორცაა ცოდნა და გაცნობიერება და უნარი.

სადოქტორო პროგრამის შედეგებში რეალურად აისახება, ზოგადად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცხადებული სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტი -

სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია. “პროგრამა ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს”, თუმცა დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შრომის ბაზრის ანალიზი მოიცავს ზოგადად რეგიონის საჭიროებას და არ ასახავს მოთხოვნას აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებზე. ამიტომაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა დასაქმების სამი ძირითადი მიმართულება:

1. დოქტორანტების ერთ-ერთი ძირითადი დამსაქმებელი იქნება თვითონ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, “რომლის ერთ-ერთი მიზანია ახალგაზრდა, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი კადრების მომზადება”;
2. ვინაიდან სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოქმედი პედაგოგია, პროგრამის ფარგლებში ისინი გაიღრმავებენ ცოდნას თავიანთ სფეროში, კვლევით უნარებს, გახდებიან მკვლევარ-მასწავლებლები, რაც მათ კარიერულ წინსვლას შეუწყობს ხელს, ამასთანავე რეგიონის ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლები მიიღებენ კვალიფიციურ პედაგოგებს, რითაც პროგრამა შესაბამისობაში მოვა საზოგადოებრივ ინტერესებთან;
3. სწავლებისა და კვლევის ინტერდისციპლინური მიმართულება (ეთნო-ლინგვისტური, ისტორიულ-ფილოლოგიური და ა. შ.) განაპირობებს რეგიონის მუზეუმებისთვის საჭირო კადრების მომზადებას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებზე გასვლა, ისევე როგორც კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება მნიშვნელოვანია, თუმცა პროგრამაზე მიღების წინაპირობისა და შემდგომში სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული შედეგების მიღწევა განსაზღვრულ ექვს იწვევს.

პროგრამას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რაც დგინდება სხვადასხვა სილაბუსში წარმოდგენილი სხვადასხვა შეფასების სქემით და სავალდებულო საგნების, როგორებიცაა *პროფესორის ასისტენტობა* და *დოქტორანტის სემინარი*, დაწვრილებითი ინსტრუქციებით. სილაბუსებში წარმოდგენილი სქემებიც ითვალისწინებს

დარგის სპეციფიკას და მოიცავს სწავლების შესაფერის მეთოდებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს როგორც პროგრამაზე მუშაობას, ასევე პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებას პროგრამის შეფასებისას. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალიც იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პროგრამის ყოფილი სტუდენტებიც აღნიშნავენ, რომ მათ ჰქონდათ წვდომა შეფასებაზე, უშუალოდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და წინა პროგრამის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულთან.

რეკომენდაციები:

- მოხდეს პროგრამის კურსებით ისედაც გათვალისწინებული "პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის" ელემენტის სილაბუსებში ასახვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩოს სამ ელემენტთან სქემასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- მოხდეს პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, პოტენციური დამსაქმებლების უფრო მაღალ დონეზე ჩართვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- “დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.. მათ შორის სწავლის სფეროდან განსხვავებულ სპეციალობაში”, რაც განსაზღვრულ დონეზე გამორიცხავს განსაზღვრული ქვედარგის და/ან ქვედარგების წინასწარ საბაზისო ცოდნას. პროგრამაში წარმოდგენილი კურსების უმეტესობა კი არ ითვალისწინებს საბაზისო ცოდნის განვითარებას და ორიენტირებულია უკვე მიღებული ცოდნის გაღრმავებაზე. შესაბამისად, აღნიშნული წინაპირობა არ უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას; პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კურსების შინაარსი არ არის ორიენტირებული საბაზისო ცოდნის განვითარებაზე, რაც სწორია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მერვე დონისთვის, თუმცა განსაზღვრულ წინააღმდეგობაშია პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან. სწავლების მერვე საფეხური, დოქტორანტურა კვლევით კომპონენტს და საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას გულისხმობს და რამდენად ეფექტური და მაღალხარისხიანი იქნება კვლევა, როდესაც დოქტორანტი მხოლოდ კვლევის პროცესში და ნაშრომის შესრულებისას ეცნობა სპეციალობას;
- პროგრამის მიზნების მიღწევაც ზემოხსენებული მიღების წინაპირობის გათვალისწინებით განსაზღვრულ ექვს იწვევს, კერძოდ, პროგრამით დასახულ მიზნებს შორის ნახსენებია „დისერტაციის სახით შექმნას ახალი მეცნიერული ცოდნა ქართულ ფილოლოგიაში ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით“. ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნა კი განსაზღვრული ქვედარგის და/ან ქვედარგების წინასწარი საბაზისო ცოდნის გარეშე ნაკლებად მოსალოდნელია;

- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც განსაზღვრულ დონეზე ლოგიკურია ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, თუმცა წინააღმდეგობაშია სხვა უცხო ენებთან (გერმანული, ფრანგული და რუსული), რომლებიც, ინგლისურის მსგავსად, ისწავლება უმაღლეს სასწავლებლებში ქვეყნის მაშტაბით. უცხო ენის მისაღები გამოცდის მხოლოდ ინგლისური ენით შეზღუდვა ერთი მხრივ არათანაბარ პირობებში აყენებს იმ დოქტორანტებს, რომლებიც ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სხვა უცხო ენას სწავლობდნენ, ხოლო მეორე მხრივ უზღუდავს მათ ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობას გერმანიის აკადემიურ წრეებთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენათმეცნიერების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ზოგიერთ სილაბუსში ქართულ და ინგლისურენოვან სავალადებულო და დამატებითი ლიტერატურის გვერდით წარმოდგენილია რუსულენოვანი ლიტერატურა. რუსული ენის ცოდნის დონის შემოწმება კი პროგრამით გათვალისწინებული არ არის;
- უცხო ენის გამოცდის წარმატებული ჩაბარების შემდეგ, იმართება სადოქტორო კვლევითი განაცხადის განხილვა, რომელსაც *მიღების დოკუმენტის* დანართი 3-ის შესაბამისად ხელს აწერს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომლის სტატუსი და დანიშვნის პროცედურა მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, უცნობია თუ როდის ან რა გზით ხდება სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევა და დამტკიცება;
- სადოქტორო კვლევითი განაცხადის განხილვის შემდეგ დოქტორანტი აბარებს ზეპირ საკონკურსო გამოცდას სპეციალობაში, რომლის საკითხების შეფასების კრიტერიუმი დაწვრილებით გაწერილია *მიღების დოკუმენტის* დანართ 6-ში. აღნიშნული დოკუმენტი არ მოიცავს დარგობრივ საკითხებს ან დარგობრივი ლიტერატურის სიას, მასში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი კომპონენტები, როგორიცაა ფაქტობრივი მასალის ცოდნა, საკითხების ირგვლივ სამეცნიერო

ლიტერატურის ცოდნა და ა.შ. შესაბამისი კრედიტების ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერი სპეციალობის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს, უნდა არსებობდეს საგამოცდო საკითხებისა და ლიტერატურის სია, რომლითაც დოქტორანტობის კანდიდატი იხელმძღვანელებს და შეძლებს საკონკურსო გამოცდისთვის მომზადებას. თუმცა დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით ფაკულტეტის საბჭო სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს „საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობას“, ხოლო უნივერსიტეტის წარმომადგენლების დამატებითი განმარტებით დგინდება, რომ ფაკულტეტის საბჭო სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით ყოველწლიურად სპეციალობის გამოცდის თემატიკასაც ამტკიცებს, სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის მითითებით, რომელიც უნივერსიტეტის ვებგვერდზე ქვეყნდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისი სილაბუსებით და თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები);
- ვებ-გვერდი;
- სადოქტორო პროგრამაზე მისაღები კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- მოხდეს პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის მიღების წინაპირობასთან;
- მოხდეს მიღების წინაპირობის შეზღუდვა ქვედარგის შესაბამისი ან მომიჯნავე სპეციალობების დარგობრივი საბაზისო ცოდნის აუცილებლობიდან გამომდინარე;
- მოხდეს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის პროცედურული დანიშვნის სქემის შემუშავება დოქტორანტობის კანდიდატისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ ინგლისური ენის გამოცდას ჩაენაცვლოს უცხო ენის გამოცდა შემდეგ ენებში: ინგლისური, გერმანული და ფრანგული;
- პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მოხდეს პროგრამაში წარმოდგენილი კურსების შესაბამისობაში მოყვანა პროგრამაზე მიღების წინაპირობასთან ქვედარგის და/ან ქვედარგების წინასწარი საბაზისო ცოდნის მიღების უზრუნველყოფის მიზნით (იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მიღების წინაპირობის შეზღუდვა ქვედარგის სპეციფიკიდან გამომდინარე);
- განისაზღვროს და კვლევითი განაცხადის წარდგენამდე დოქტორანტობის კანდიდატებისათვის იყოს შეთავაზებული სადისერტაციო კვლევების შესაძლო მიმართულებანი განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორების კვლევითი ინტერესიდან გამომდინარე;
- მოხდეს სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის თემატიკის, საგამოცდო საკითხებისა და ლიტერატურის სიის პროცედურული დამტკიცების განსაზღვრა დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება (დადგენილება №69, 11.12.20190) და თვითშეფასებაში აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით: “ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია 15 კრედიტით, მათ შორის 5 კრედიტი სავალდებულოა, ხოლო 10 კრედიტი არჩევითი; სემინარის მომზადება 10 კრედიტი, პროფესორის ასისტენტობა - 15 კრედიტი. , ხოლო დარჩენილი 140 კრედიტი კი კვლევითი კომპონენტია”, რაც განსაზღვრულ წინააღმდეგობაშია საქართველოს კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ,

რომელიც არ ითვალისწინებს კვლევით კომპონენტში კრედიტების მინიჭებას. თუმცა პროგრამის სტრუქტურაში, აღნიშნული შეუსაბამობა არ დასტურდება და თითოეული სასწავლო კურსის კრედიტის მოცულობა განსხვავებულია, ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც დამატებით განმარტავენ, რომ დებულებისა და პროგრამის 2020 წლის 8 მაისს დამტკიცებულ ვერსიებში მსგავსი შეუსაბამობა გასწორებულია;

- პროგრამა შედგენილია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობით;
- პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კურსების შინაარსი ძირითადად ორიენტირებული საბაზისო ცოდნის გაღრმავებაზე, რაც ლოგიკურია უმაღლესი განათლების მერვე დონისთვის, თუმცა განსაზღვრულ წინააღმდეგობაშია პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან, რომლის თანახმად პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია ნებისმიერი სპეციალობის მაგისტრის ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს;
- პროგრამის სწავლების ენა ქართულია, ხოლო უცხო ენის მისაღები გამოცდა გულისხმობს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნას, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში როგორც სავალდებულო (იხ. *თანამედროვე ლიტერატურული პროცესები, ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები*), ასევე დამატებითი (იხ. *თანამედროვე ლიტერატურული პროცესები, სიკვდილ-სიცოცხლის არსის მხატვრული გააზრება ქართულ მწერლობაში, ინტერდისციპლინური კვლევა და ონომასტიკის თანამედროვე პრობლემატიკა, კორპუსლინგვისტიკა და ინტერდისციპლინური კვლევები*) ლიტერატურის

ბლოკებში წარმოდგენილია რუსულენოვანი ლიტერატურა, რაც განსაზღვრულ წინააღმდეგობაშია პროგრამის მიღების წინაპირობასთან;

- ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები კურსის წინაპირობად ნახსენებია რუსული ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც განსაზღვრულად ზღუდავს აღნიშნული საგნის შერჩევის ალბათობას, რადგანაც რუსული ენის ცოდნის დონის შემოწმება პროგრამით გათვალისწინებული არ არის;
- სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს როგორც მინიმუმ 40 კრედიტის მოგროვებას, მათ შორის პროფესორის ასისტენტობა (15 კრედიტი), სემინარი (10 კრედიტი) და, უშუალოდ, სასწავლო კურსები (5 სავალდებულო და 10 არჩევითი), რაც შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან “უმაღლესი განათლების შესახებ”, რომლის მიხედვით სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს. აღნიშნული სასწავლო კურსები ნაწილდება ერთ სავალდებულო საგანსა (სწავლების თანამედროვე მეთოდები) და თერთმეტ არჩევით საგანს შორის, რომლებშიც, თავის მხრივ, მოიაზრება ენათმეცნიერების (5), ასევე ლიტერატურათმცოდნეობის (6) საგანი. შესაბამისად, ბალანსი ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით საგნებს შორის დაცული არ არის, რაც პროგრამის მიღების წინაპირობის გათვალისწინებით ართულებს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას;
- პროგრამის მთავარი მიზანია “დისერტაციის სახით შექმნას ახალი მეცნიერული ცოდნა ქართულ ფილოლოგიაში ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით” და, შესაბამისად, ერთ-ერთ ამოცანად სახელდება “ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების კვლევაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება”. პროგრამით გათვალისწინებული კურსების უმეტესობა კი უმეტესწილად ორიენტირებულია ტრადიციული მეთოდოლოგიის გამოყენებაზე და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლაზე, რაც მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით (ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ უნივერსიტეტში ადრე არსებული

სადოქტორო პროგრამის სტუდენტები, ძირითადად, მოქმედი პედაგოგები არიან ან აპირებენ პედაგოგიურ საქმიანობას), თუმცა არ არის საკმარისი პროგრამით დასახული შედეგების მისაღწევად განსაკუთრებით ლინგვისტური მოდულის თვალსაზრისით;

- პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტს ბიბლიოთეკას გააჩნია რესურსი როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფონდის სახით. გარდა ამისა, უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს თანხები საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომით თვალსაზრისით, პროგრამის კურიკულუმშიც მიუთითებს აღნიშნული ბაზების არსებობას, თუმცა არ საზღვრავს ბაზებს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულია *ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები*, თუმცა არც ერთი კურსი არ არის ორიენტირებული ლინგვისტური კვლევითი მეთოდოლოგიის შესწავლაზე, რაც უნდა უზრუნველყოფდეს დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულებისას კვლევის გაუმჯობესებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ამით განსაზღვრულ დონეზე ირლვევა ბალანსი ლიტერატურულ და ენობრივ კვლევებზე ორიენტირებულ მეთოდოლოგიებს შორის;
- პროგრამის კვლევითი კომპონენტის ნაწილში მოიაზრება სამი წლის განმავლობაში სადოქტორო დისერტაციის მომზადება და დაცვა. სადისერტაციო ნაშრომის კვლევითი თემატიკა, ისევე, როგორც სათაური, დგინდება მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;
- პროგრამაში შემავალი ყველა კურსი წინაპირობის გარეშეა, რაც აძლევს სტუდენტს არჩევის შესაძლებლობას, უშუალოდ, თავისი კვლევითი ინტერესიდან გამომდინარე. თუმცა კვლევითი თემატიკის განსაზღვრის გარეშე, ძნელია იმის გარკვევა რამდენად ლოგიკურად ესა თუ ის კურსი შეესაბამება დოქტორანტის

ინტერესს, თუმცა დაწესებულება ყველანაირად უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობის პრინციპის დაცვას;

- პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად;
- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას და დროულად ათავსებს ინფორმაციას პროგრამის შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისი სილაბუსებით და თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები);
- ვებ-გვერდი;
- სადოქტორო პროგრამაზე მისაღები კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- მოხდეს პროგრამის კურიკულუმიდან ინფორმაციის ამოღება იმ საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ, რომლებიც არანაირ კავშირშია პროგრამასთან (მაგ. New England Journal of Medicine (<http://www.nejm.org/>), IMechE Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMechE>) და ა.შ.);
- განისაზღვროს რუსული ენის სტატუსი პროგრამისა და/ან სილაბუსების წინაპირობის დონეზე ან მოხდეს სილაბუსებიდან იმ ლიტერატურის ამოღება, რომლის წაკითხვას სტუდენტები ენის არცოდნის გამო ვერ მოახერხებენ;

• ხარისხის დაბალანსების მიზნით მოხდეს პროგრამაში ჩართული ქვედარგების გათანაბრება „ქართული ლიტერატურისა“ და „ქართული ენის“ ქვემოდულების სახით; • მიზანშეწონილია განისაზღვროს დოქტორანტის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის სტატუსები სადისერტაციო ნაშრომის დაგეგმვისა და ნაშრომზე მუშაობის შესაბამისად; • რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს ლინგვისტურ კვლევით მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული კურს(ებ)ის შემოღება, რომელიც მოიცავს ენის დოკუმენტირების, საველე პრაქტიკის განხორციელების, მოგროვილი მონაცემების დამუშავებისა და ლინგვისტური ანოტირების მეთოდოლოგიურ ჩარჩოს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ჩასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამის სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებასა და თვითშეფასების ანგარიშში კვლევით კომპონენტში კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საჭიროა მეტი სიზუსტით შედგეს სილაბუსები, მაგ.: „ენათა კონტაქტების შესწავლის თანამედროვე ტენდენციებში“, „სწავლების თანამედროვე მეთოდებში“ და ა.შ. სავალდებულო ლიტერატურის ბლოკში ვხვდებით ლიტერატურას, რომელიც სალექციო თემების გასწვრივ წარმოდგენილი არ არის, რაც გასასწორებელია;
- სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულია არჩევითი საგანი „სიკვდილ-სიცოცხლის არსის მხატვრული გააზრება ქართულ მწერლობაში“ კურსის შინაარსი ფარავს ამავე მოდულზე შემოთავაზებულ რამდენიმე საგანს. მიზანშეწონილია აღნიშნული საგნის გაუქმება, რათა არ მოხდეს საგნებს შორის თემატური და შინაარსობრივი გადაფარვა;
- სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულია ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები, თუმცა არც ერთი კურსი არ არის ორიენტირებული ლინგვისტური კვლევითი მეთოდოლოგიის შესწავლაზე, რაც უნდა უზრუნველყოფდეს დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულებისას კვლევის გაუმჯობესებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დასახული ინოვაციური მეთოდების გამოყენებაც ლინგვისტური თვალსაზრისით ეჭვს ბადებს

და გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმაც დაადასტურა, რომ ძირითადად ხდება ტრადიციული მეთოდოლოგიის მოშველიება;

- პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კომპონენტები, ძირითადად, თანმიმდევრულია და დაშვება შემდგომ კომპონენტებზე ლოგიკურია, ასევე საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება სწავლების მერვე საფეხურს თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ხდება სასწავლო კურსების თემატიკების დუბლირება (იხ. ზემოთ 2.2);
- სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსების უმეტესობა გულისხმობს ელექტრონული რესურსით სწავლებასა და/ან ელექტრონული სწავლების გამოყენებას, თუმცა ელექტრონული პლატფორმის ან რესურსების მითითება არ ხდება. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძირითადად Moodle-ის პლატფორმას იყენებს, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისი სილაბუსებით და თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და წინა პროგრამის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულთან.
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- მოხდეს სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის ბლოკში მითითებული ლიტერატურის სასწავლო კურსის შინაარსისა და კალენდარული გეგმის ლიტერატურის შესაბამისი გვერდების ველში ასახვა ან მოხდეს კურსისთვის შეუსაბამო ლიტერატურის სავალდებულო ლიტერატურის ბლოკიდან ამოღება;

• მოხდეს საგნის „სიკვდილ-სიცოცხლის არსის მხატვრული გააზრება ქართულ მწერლობაში“ გაუქმება, რათა არ მოხდეს საგნებს შორის თემატური და შინაარსობრივი გადაფარვა; • მოხდეს დუბლირებული თემატიკების ამოღება ან კონკრეტული საგნის გაუქმება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მოხდეს ელექტრონულ სწავლებაზე ორიენტირებული ელექტრონული რესურსების პროგრამის სილაბუსებში ასახვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში დოქტორანტს ეძლევა საშუალება, პრაქტიკულად განახორციელოს პედაგოგიური საქმიანობისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა კომპონენტი. პროგრამა ითვალისწინებს ასევე პროფესორის ასისტენტობას კვლევაში, რაც გულისხმობს პროფესორის დახმარებით საკონფერენციო მოხსენებაზე, სამეცნიერო სტატიის მომზადებასა და გამოქვეყნებაზე მუშაობას, თუმცა არ განსაზღვრავს დოქტორანტისა და ხელმძღვანელის მიერ გაწეული სამუშაოს შეფასებას, რადგან გაურკვეველია თითოეულის ხვედრითი წილი თანაავტორის ყოლის პირობებში;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების (დადგენილება №69, 11.12.2019) მიხედვით “დისერტაციის დაცვამდე დისერტანტს კვლევის სფეროში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელთა შორის აუცილებელია ერთი სტატია მაინც გამოქვეყნებული იყოს (ან მიღებული იყოს დასაბეჭდად) საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (მაგ: ERIH PLUS, Scopus, EBSCOHost, Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Ulrich’s Index, Latindex Catalogue...)”, თუმცა არ არის შემუშავებული არც ქვედარგში არსებული სარეკომენდაციო ჟურნალების სია და არც სარეკომენდაციო კონფერენციების ნუსხა ფილოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- პროგრამაზე სწავლის პერიოდში დოქტორანტი ამზადებს ერთ სემინარს. განხორციელებული სასემინარო კვლევის შედეგების პრეზენტაცია და შესაბამისი თემატური სასემინარო ნაშრომის დაცვა ხორციელდება აუდიტორიის წინაშე. სასემინარო ნაშრომის თემას არჩევს დოქტორანტის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით. სასემინარო ნაშრომის თემა უნდა ეძღვნებოდეს სწავლის სფეროს აქტუალურ

საკითხებს და არ შეიძლება იყოს სადისერტაციო თემის ნაწილი. სემინარის ფარგლებში დოქტორანტის მოხსენება განიხილება დარგობრივი კომისიის წინაშე. ამისთვის დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ, გამოიყენონ ასევე ფაკულტეტზე უკვე ტრადიციად ქცეული ყოველკვირეული სამეცნიერო სემინარის, „გულანი“ კათედრა. უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების კონკურსი, რომლის შეფასების ერთ-ერთი სერიოზული ინდიკატორია ახალგაზრდა მკვლევართა და დოქტორანტთა ჩართულობა;

- უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს დოქტორანტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით 2008 წლიდან უნივერსიტეტში განხორციელებული პროექტები ძირითადად მოიცავს გენდერულ, ეთნიკურ კვლევებს გარე დაფინანსების ფარგლებში და აგრარულ, არქეოლოგიურ და ა.შ. კვლევებს შიდა დაფინანსების ფარგლებში, რაც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული *სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ან დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროექტების მოკლე აღწერებით*, რაც ბუნებრივია მნიშვნელოვანია რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა ფილოლოგიის მიმართულებით საჭიროებს გაუმჯობესებას;
- გარდა იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში აუცილებელია დოქტორანტის ინტერესებისა და თემის ხელმძღვანელის კვლევის სფეროს თანხვედრა, კვლევითი უნარების გამომუშავებისა და მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნის ხელშესაწყობად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თემის ხელმძღვანელის კომპეტენციას, რაც დგინდება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით, რომლებიც ავალდებულებს დისერტაციის პოტენციურ ხელმძღვანელებს სტატიების საერთაშორისო რეფერირების მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებას. ამ თვალსაზრისით პროფესორის ასისტირების ფარგლებში ერთობლივი სტატიისა ან საკონფერენციო მოხსენების მომზადება თანხვედრაშია როგორც პროფესორისა, ასევე დოქტორანტის

ინტერესთან და დოქტორანტსაც უვითარებს კვლევით უნარებს, თუმცა გაურკვეველია რჩება თანაავტორობის პირობები;

- პროგრამაზე მოქმედი რეგულაციის თანახმად, პროფესორს უფლება არ აქვს უხელმძღვანელოს ხუთზე მეტ სტუდენტს (5 სტუდენტი ითვლება ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე ერთად), რაც ლოგიკურია სამუშაო დატვირთვის თვალსაზრისით;
- პროგრამა საშუალებას იძლევა, დოქტორანტს დაენიშნოს თანახელმძღვანელიც. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაძლებლობა, დოქტორანტის ინტერესის შესაბამისად საჭიროებისამებრ მოიწვიოს დარგის სპეციალისტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება (კოდიფიცირებული)
- სემინარის ინსტრუქცია
- პროფესორის ასისტენტობის ინსტრუქცია
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან
- დოქტორანტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და წინა პროგრამის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულთან.

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს დოქტორანტის ხვედრითი წილი ხელმძღვანელთან/სხვა თანაავტორთან გამოქვეყნებული ნაშრომის ან კონფერენციაზე წარდგენილი სტატიის შემთხვევაში;

• მოხდეს პროგრამაში ჩართული პროფესორების წახალისება ფილოლოგიის მიმართულებით როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა კვლევით პროექტებში მონაწილეობის თვალსაზრისით; • პროგრამაში ჩართულ პროფესორებსა და დოქტორანტებს დროულად მიეწოდოს ინფორმაცია თუ რა პრინციპით უნდა ხდებოდეს ჟურნალის მახასიათებლების (h-index, CiteScore და ა.შ.) შემოწმება და განსაზღვრა; • მოხდეს დარგში არსებული რეფერირებადი ჟურნალების სიის შემუშავება მათ შორის საერთაშორისო ბაზებში (SCOPUS, EBSCO და ა.შ.) შესული ჟურნალებისა ქართული ფილოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სადოქტორო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი განესაზღვრა ელექტრონულ სწავლებასა და ელექტრონული რესურსით სწავლებასაც. გასაუბრებისას დადგინდა, რომ აღნიშნული სწავლება ძირითადად ხორციელდება პროგრამა Moodle-ის და *სასწავლო პროცესის მართვის სისტემის* გამოყენებით. ასევე პლაგიატის დადგენის მიზნით უნივერსიტეტში იყენებენ Turnitin-ის პროგრამას;
- პროგრამის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები მრავალფეროვანია და შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების მერვე დონეს და ძირითადად მოიცავს: წიგნზე მუშაობის მეთოდს, დისკუსია, დებატებს, გონებრივი იერიშს, თანამშრომლობით სწავლებას, შემთხვევის ანალიზს და ა.შ.;
- დოქტორანტის ინდივიდუალური პროგრამა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებაზე და თვითშეფასების ანგარიშში წერია: “დოქტორანტის აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად დგება ინდივიდუალური პროგრამა და ეს არის არა შესაძლებლობა, არამედ ვალდებულება”. აღნიშნული განაცხადი კი განსაზღვრულ წინააღმდეგობაშია პროგრამაზე მიღების წინაპირობასთან და პროგრამაში წარმოდგენილი კურსების შინაარსთან. პროგრამის არც ერთი კურსი არ არის ზოგადი, საწყის ინფორმაციაზე ორიენტირებული კურსი და, ბუნებრივია, ვერ მოერგება სხვა დარგის მაგისტრის ხარისხის მქონე დოქტორანტის საჭიროებას;
- სტუდენტების სასწავლო დატვირთვის ერთ-ერთი აქტივობის ნაწილს სამეცნიერო/საველე პრაქტიკა წარმოადგენს, რომლის ორგანიზებას უნივერსიტეტი თავისი ხარჯით ახორციელებს, რაც მნიშვნელოვანია რეგიონის ენობრივი სიტუაციის კვლევის თვალსაზრისით. როგორც გასაუბრებისას და დამატებით წარმოდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე გაირკვა საველე პრაქტიკის

განხორციელებისას ხდება სპეციალური აღჭურვილობის: დიქტოფონის, ვიდეო და ფოტოაპარატურის, ბოლო პერიოდში კი მობილურების გამოყენება. თუმცა ჩაწერილი მონაცემების შესაბამისი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით არ ხდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები (დანართი 1); ○ დოქტორანტის სემინარის ინსტრუქცია (დანართი 1); ○ პროფესორის ასისტენტობის ინსტრუქცია (დანართი 1); ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და წინა პროგრამის სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები ○ მოხდეს საველე პრაქტიკის დროს მოპოვებული მასალის დამუშავება დარგში არსებული კომპიუტერული უზრუნველყოფისა და მეთოდოლოგიური ჩარჩოს გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მოხდეს ელექტრონულ სწავლებაზე ორიენტირებული ელექტრონული რესურსების პროგრამის სილაბუსებში ასახვა; ○ მოხდეს პლაგიატის აღმოჩენაზე ორიენტირებული პროგრამის (Turnitin) გამოყენების სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურებში ასახვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასება არის სამართლიანი და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. დოქტორანტების შეფასება ხდება როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტების მიხედვით. ასევე, მოქმედებს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენისა და შეფასების პროცედურები.
- სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება უნივერსიტეტში არსებული პროცედურებითა და რეგულაციებით. დოქტორანტი დარგობრივი კოლეგიის წინაშე

წარადგენს სადისერტაციო ნაშრომს. ნაშრომის წინასწარ განხილვაზე სავალდებულოა დოქტორანტმა წარადგინოს მინიმუმ სამი გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელთა შორის აუცილებელია ერთი სტატია გამოქვეყნებული იყოს, ან მიღებული იყოს დასაბეჭდად საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (მაგ.: ERIH PLUS, Scopus, EBSCOHost, Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Ulrich's Index, Latindex Catalogue...). სამეცნიერო პუბლიკაციაში მითითებული უნდა იყოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი. ამასთან, შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციის რამდენიმე შესაძლებლობა. ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს სადისერტაციო საბჭოს დებულების 12.2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან ერთ-ერთი მაინც:

“ა) დოქტორანტს ჰყავს უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი; ბ) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული ერთი სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირებას; გ) უცხოურ ენაზე თარგმნილი დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) გაგზავნა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, რომელთა ნუსხას ადგენს სადისერტაციო საბჭო; დ) მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში/სიმპოზიუმში/კონგრესში. სადოქტორო პროგრამით შეიძლება განისაზღვროს დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები. აღნიშნული მოთხოვნებიდან ერთ-ერთის დაკმაყოფილების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა უფლება, წარადგინოს დისერტაცია შესაბამისი კომისიის წინაშე”.

- მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციის კრიტერიუმები არის ზოგადი და არ აკმაყოფილებს ნაშრომის ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე კრიტერიუმებს. კერძოდ,

დებულების თანახმად ვერ ზუსტდება, კონკრეტულად თუ რას მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაცია: საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, პუბლიკაციას, თუ სხვა აქტივობას, მაგალითად საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობას. მიზანშეწონილია, სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციის პუნქტებს დაემატოს სავალდებულო კომპონენტად ისედაც არსებული მოთხოვნა „მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაციის შესახებ, რომელთა შორის აუცილებელია ერთი სტატია მაინც გამოქვეყნებული იყოს (ან მიღებული იყოს დასაბეჭდად) საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (მაგ: ERIH PLUS, Scopus, EBSCOHost, Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Ulrich’s Index, Latindex Catalogue...)“;

- დისერტაციის დაცვა მიმდინარეობს საჯაროდ, დარგობრივი კომისიის წინაშე. დარგობრივი კომისია შესაბამისი და დადგენილი კრიტერიუმებით აფასებს დოქტორანტს. აღნიშნული შვიდი კრიტერიუმია: ძალიან კარგი (magna cum laude), კარგი (cum laude), საშუალო (bene), დამაკმაყოფილებელი (rite), არადამაკმაყოფილებელი (insufficient), სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone), რაც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. როგორც ინტერვიუების დროს გამოვლინდა, უნივერსიტეტში არ ყოფილა „არადამაკმაყოფილებელი“ ან „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების შემთხვევები;
- უნივერსიტეტმა საერთაშორისო საგრანტო პროექტის (Erasmus+ INTEGRITY – ACADEMIC INTEGRITY FOR QUALITY TEACHING AND LEARNING IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS IN GEORGIA ფარგლებში შეიძინა და 2017 წლიდან აამოქმედა პლაგიატის გამოვლენის ელექტრონული პროგრამა TURNITIN. მნიშვნელოვანია, რომ სადისერტაციო ნაშრომები მოწმდება აღნიშნული პროგრამით, თუმცა დისერტაციის დაცვის

პროცედურებში მითითებულია მხოლოდ, რომ ნაშრომს პლაგიატზე უნივერსიტეტში არსებული პლაგიატის დამდგენი კომისია ამოწმებს;

- დოქტორანტის კვლევითი საქმიანობის მთავარ შედეგს სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა წარმოადგენს, თუმცა *დოქტურანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება* სადისერტაციო ნაშრომის ფორმატს საზღვრავს ძალიან ზოგადად (იხ. პუნქტი 10) და არ ითვალისწინებს ლიტერატურის გაფორმების აკადემიური საზოგადოების მიერ მსოფლიოში აღიარებულ სტილს (APA, Chicago, GOST, Harvard და ა.შ.), რომელსაც უნდა მიჰყვებოდეს დოქტორანტი ნაშრომზე მუშაობის დროს;
- პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული დოქტორანტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომლის თანახმად დოქტორანტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასებების ჯამს. სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა უნიფიცირებულია და, ძირითადად, მოიცავს სტუდენტების შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, თუმცა თვითონ შეფასებითი სქემები დამოკიდებულია კონკრეტული საგნის თავისებურებაზე. შეფასების კრიტერიუმის საბოლოო დადგენა ხდება შესაბამისი სილაბუსის ავტორ(ებ)ის მიერ ზემოხსენებულ სქემებზე დაყრდნობით;
- სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, კრედიტის ასაღებად დოქტორანტს სჭირდება 51 ქულის დაგროვება. თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსში;
- სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ორი რეცენზენტის (თუ ერთი რეცენზენტის დასკვნა უარყოფითია ნაწერი ეგზავნება მესამე რეცენზენტს) მიერ, რომლებსაც ამტკიცებს დარგობრივი კოლეგია. რეცენზია შეიძლება იყოს ან

დადებითი ან უარყოფითი, თუმცა რეცენზიის შეფასების კრიტერიუმი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის;

- სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმით ვლინდება, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. გარდა ამისა, გადაუბრების დროს ყოფილმა სტუდენტებმა არა ერთხელ აღნიშნეს, რომ იღებენ/იღებდნენ უკუკავშირს მიღწეული შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- (შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი, შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა გზამკვლევი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები - ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანამანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- დოქტორანტის სემინარის ინსტრუქცია;
- პროფესორის ასისტენტობის ინსტრუქცია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და წინა პროგრამის სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

○ მოხდეს სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის უფრო მკაფიოდ განსაზღვრა და გაფორმების წესის შემოღება აკადემიური საზოგადოების მიერ მსოფლიოში აღიარებული სტილის (APA, Chicago, GOST, Harvard და ა.შ.) შესაბამისად; ○ მოხდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების კრიტერიუმის შემუშავება კონკრეტული პარამეტრების მითითების გზით; ○ სადისერტაციო საბჭოს დებულების 12,2 პუნქტში მითითებულ ა, ბ, გ და დ მუხლებს შეემატოს სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ნუსხებში შესულ რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში. წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. დოქტორანტურაში, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება ინიშნებოდეს წინასწარ, სამუშაო საათების ფარგლებში, ან ელექტრონული პლატფორმის საშუალებით. როგორც გასაუბრებისას დადგინდა ასეთი შეხვედრების ორგანიზება, ძირითადად, სატელეფონო კომუნიკაციით ან სხვა ელექტრონული საშუალებებით ხდება;
- სტუდენტთა კონსულტირებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების პერსონალის ფუნქციებში შედის სტუდენტთა ინფორმირებულობა: აკადემიური კალენდრის ვადებთან, სტუდენტთა ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციასთან, სასწავლო პროცესის მართვის

ელექტრონული სისტემისა და ელექტრონული სწავლის სპეციალური პროგრამის MOODLE-ს შესახებ, სახელმწიფოსაგან დაშვებული სოციალური პროგრამების, უნივერსიტეტში არსებული სტიპენდიების დანიშვნის წესისა და პირობების, მობილობის პირობების შესახებ;

- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროფესორებსა და სტუდენტებს საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის თვალსაზრისით, დღევანდელი მდგომარეობით 2008 წლიდან უნივერსიტეტში განხორციელებული პროექტები ძირითადად მოიცავს გენდერულ, ეთნიკურ კვლევებს გარე დაფინანსების ფარგლებში და აგრარულ, არქეოლოგიურ და ა.შ. კვლევებს შიდა დაფინანსების ფარგლებში, რაც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული *სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე ან დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროექტების მოკლე აღწერებით*, რაც ბუნებრივია მნიშვნელოვანია რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა ფილოლოგიის მიმართულებით პროექტების ნაკლებობის გამო აღნიშნული შესაძლებლობა ჯეროვან დონეზე ვერ ვლინდება;
- უნივერსიტეტი საჭიროების მიხედვით აძლევს დოქტორანტებს ინფორმაციას სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი აქტივობების შესახებ და, ასევე, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადების და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები როგორც პროფესორებისა, ასევე დოქტორანტებისათვის. თუმცა, გასაუბრებისას დადგინდა, რომ წინა პროგრამის დოქტორანტები ამ შესაძლებლობას არ იყენებდნენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი;

○ სჯსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები; ○ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და ამ თანამშრომლობის შედეგები; ○ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, თავიX, მუხლი 40, 41; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის ფორმები და შედეგები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და წინა პროგრამის სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მოხდეს დოქტორანტებისათვის ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობების შესახებ საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებისა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის თვალსაზრისით; ○ მოხდეს სტრუქტურული რგოლის შემოღება, რომელიც დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტის პროფესორებსა და დოქტორანტებს როგორც კვლევითი პროექტების შედგენის, ასევე გრანტების მოძიების თვალსაზრისით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტებისათვის განისაზღვრება სამეცნიერო ხელმძღვანელები. სადისერტაციო საბჭოს დებულებაში აღნიშნულია, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰყავდეს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები. ● უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს სადისერტაციო ნაშრომის გარედან მოწვეული ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კვლევითი განაცხადის განხილვის შემდეგ, დგინდება, რომ უნივერსიტეტს არ ჰყავს მსგავსი კვლევითი თემატიკის პროფესორი), რაც საერთო ჯამში სტრატეგიული თვალსაზრისით სწორია რეგიონის

თავისებურებიდან გამომდინარე და რასაც გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელიც ადასტურებდა; • პროგრამა ახალია, თუმცა წინა პროგრამის დოქტორანტები ადასტურებენ ხელმძღვანელების პროფესიონალიზმს საკვლევი თემების შესაბამისი გამოცდილების თვალსაზრისით; • სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება საზღვრავს დოქტორანტის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის (საჭიროების შემთხვევაში) ფუნქციებს. სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტთან ერთად ადგენს ინდივიდუალურ გეგმას და უწევს მას შესაბამის კონსულტაციებს მისი კვლევითი საქმიანობის შესახებ. მსგავსი ტიპის კონსულტაციების არსებობას ისევე, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელებთან მჭიდრო თანამშრომლობას წინა პროგრამის დოქტორანტებიც აღნიშნავდნენ და ამატებდნენ, რომ არც ერთხელ არ ჰქონდათ პროფესიონალური რჩევების ნაკლებობის განცდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელების ხელშეკრულების ფორმა და/ან ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი; ○ სჯსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და წინა პროგრამის სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას ახორციელებენ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესორი, 12 აკადემიური პერსონალი და 4 მოწვეული პროფესორი. აკადემიური პერსონალიდან ყველა მათგანი აფილირებულია სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში;
- როგორც გასაუბრებიდან ირკვევა იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტის კვლევითი ინტერესი სცილდება პროგრამის აკადემიური პერსონალის სპეციფიკას, დოქტორანტის კვლევითი ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით ხდება ხელმძღვანელის ან თანახელმძღვანელის ფუნქციით გარედან მოწვევა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას რეგიონალური თავისებურებიდან გამომდინარე;
- პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია დარგისათვის რელევანტური ცოდნა და გამოცდილება. პერსონალის კვლევების ერთი ნაწილი ეხება სამცხე-ჯავახეთის ლინგვისტურ და ლიტერატურის ისტორიის საკითხებს, თუმცა შეიმჩნევა

საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ნაკლებობა და ფილოლოგიის მიმართულების პროფესორების ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები;

- უნივერსიტეტის ბოლო რეგულაციებით უნივერსიტეტის პროფესორებს ევალებათ სტატიების გამოქვეყნება საერთაშორისო ბაზებში მოხვედრილ რეფერირებად ჟურნალებში, თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნული მოთხოვნის შესრულება ყოველთვის არ დასტურდება. ამასთან დაკავშირებით გასაუბრებისას აღნიშნა, რომ რეგულაციების შემოღების შემდეგ უნივერსიტეტმა აფილირებულ პროფესორებს მისცა განსაზღვრული ვადა აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის შექმნისათვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. იგი ხელმძღვანელობს და/ან მონაწილეობს სხვადასხვა საგრანტო კვლევით პროექტში და ორგანიზებას უწევს აღნიშნული რეგიონის მაშტაბით სხვადასხვა კვლევით აქტივობას. პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობა მნიშვნელოვანია რეგიონალური განვითარების თვალსაზრისით;
- ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი რაოდენობის და კომპეტენციის ადგილობრივი და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები: CV, შრომები, საკონფერენციო მასალები, საკონკურსო მასალები, შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება (დანართი 4) და პირადი საქმე;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი;

○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და წინა პროგრამის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულთან.
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მოხდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიონალური კომპეტენციის სტაბილურობის უზრუნველყოფა პროექტებში მონაწილეობისა და გრანტების მოძიების თვალსაზრისით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პირების შეფასებას და შედეგების ანალიზს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწავლებასთან ერთად უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულად არის დასახული კვლევითი საქმიანობა, რომლის განუყოფელ ნაწილს კვლევითი საქმიანობის კონცეფციაც წარმოადგენს. აღნიშნული კონცეფციის შესაბამისად უნივერსიტეტი ავალდებულებებს როგორც მასთან აფილირებული, ასევე მოწვეულ პერსონალს ორ წელიწადში ერთხელ იმპაქტ ფაქტორიან პუბლიკაციას და ბიუჯეტში ამაზე სპეციალურად არის გათვალისწინებული სტატიების გამოქვეყნებისა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებზე. როგორც გასაუბრებისას დადგინდა, მიუხედავად მცდელობისა პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფა სხვადასხვა მიზეზის გამო ჯეროვნად არ ხდება;
- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კვლევითი საქმიანობის კონცეფცია, რომელიც დადგენილების სახით ფუნქციონირებს 2018 წლიდან და ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულაციას, მათ შორის, კვლევის ინტერნაციონალიზაციას, აკადემიურ თავისუფლებას, სამეცნიერო ეთიკის საკითხებს, ასევე, პლაგიატის პრევენციას. თუმცა გასათვალისწინებელია რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაცია არ

გულისხმობს სტატიის საერთაშორისო ბაზებში გამოქვეყნებას მიუხედავად იმისა, რომ დაცვამდე დოქტორანტს მოეთხოვება მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის, იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო ბაზებში წარმოდგენილ რეფერირების მქონე ჟურნალებში;

- აკრედიტაციის ექსპერტებთან შეხვედრის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, ასევე, პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართული პროფესორები ნაშრომებს აქვეყნებენ მაღალრეიტინგულ, იმპაქტ ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეცენზირებად, რეფერირებად ბაზებში, თუმცა ჩანს, რომ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილს არ აქვს დაზუსტებული ინფორმაცია იმპაქტ ფაქტორის მქონე, საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ბაზების შესახებ, ასევე არ აქვს ზუსტი ინფორმაცია აღნიშნულ გამოცემებში პუბლიკაციის წესის, ციტირების წესისა და სხვა რეგულაციების შესახებ, მათ შორის, ფილოლოგიის დარგში არსებული შესაბამისი გამოცემების შესახებ.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები-სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია;
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და წინა პროგრამის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია მაღალრეიტინგული, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ, განსაკუთრებით, იმ დარგობრივი გამოცემების შესახებ, რომლებიც აღნიშნულ სამეცნიერო ბაზებშია გაწვევრიანებული;
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ბაზებში პუბლიკაციის წესის, ნაშრომის აგებულების, ციტირების წესისა და სხვა საკითხების შესახებ.
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოხდეს თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული სასწავლო და მეთოდური მასალის მიხედვით პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროგრამის განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, როგორც აუდიტორიების, ისე საბიბლიოთეკო რესურსების თვალსაზრისით. დისტანციური ვიზიტის დროს ამისი შემოწმება მოხერხდა მხოლოდ შეხვედრისთვის ორგანიზებული აუდიტორიების, ვებ-გვერდისა და საბიბლიოთეკო ონლაინ ბაზების დათვალიერებით;
- უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მიმდინარეობს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის დიგიტალიზაცია სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ უნივერსიტეტის შიდა ქსელში ხელმისაწვდომია სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები;
- უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, რომლებიც უნივერსიტეტს მიეწოდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ასევე, სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცენტრების დახმარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;

○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებისა და განვითარების ხარჯებს. ბიუჯეტში გათვალისწინებულია რამდენიმე კომპონენტი, მათ შორის: პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პროფესორების შრომის ანაზღაურება, ფაკულტეტის ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება, სამეცნიერო ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება, პროგრამაში ჩართული პროფესორების თანადაფინანსება იმპაქტ ფაქტორის ან სხვა საერთაშორისო რეფერირებად/რეცენზირებად გამოცემაში მონაწილეობისათვის, კონფერენციებზე, ფორუმებსა და ტრენინგებზე მონაწილეობისათვის, სტუდენტების წახალისებისთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებით და წინა პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამაზე არსებობს განსაზღვრული დონის მოთხოვნა, რაც, თავის მხრივ, სავარაუდოდ, უზრუნველყოფს მის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და წინა პროგრამის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმები. პროგრამაზე დართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის დოქტორანტთა კმაყოფილების კვლევა და მისი ანალიზი, სადაც დოქტორანტები მაღალ შეფასებას აძლევენ პროგრამის ადმინისტრირებას, თუმცა აღნიშნავენ, რომ გააუმჯობესებდნენ კურიკულუმს ახალი, ინოვაციური მეთოდებით და აქტივობებით და მიუთითებდნენ უცხოეთის უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების საჭიროებაზე.
- უნივერსიტეტში ჩატარებულმა აკადემიური პერსონალის კითხვარმა აჩვენა, რომ პერსონალი საჭიროდ მიიჩნევს თანამედროვე მეთოდების გაცნობას და ამისათვის უცხოელი ექსპერტების მოწვევას მიიჩნევს საჭიროდ. ასევე, კითხვარში მითითებულია, რომ პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭიროა ტრენინგები, სტაჟირება, გაცვლითი პროგრამები და სხვა.
-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

○ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ სტუდენტთა/აკადემიური პერსონალის/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები (კითხვარები); ○ კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების სისტემა; ○ პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები; ○ დოქტორანტთა გამოკითხვის შედეგები, ანალიზი; ○ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, ტრენინგები, სერტიფიკატი; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და წინა პროგრამის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები ○ მოხდეს შიდა ხარისხის შეფასებების მიხედვით გამოვლენილი საჭიროებების ასახვა უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით პროცესებში. ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მოიპოვება საერთაშორისო გამოხმაურებები კანადისა და თურქეთის უნივერსიტეტებიდან და ათენის ქართული კულტურის ცენტრიდან. საერთაშორისო გამოხმაურებებში აღნიშნულია, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს აქვს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფუნქცია და ასევე, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა არის უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი. პროგრამაში არის ბალანსი სასწავლო და კვლევით კომპონენტებს შორის და აღნიშნულია ონომასტიკისა და რეგიონის ლინგვისტური კვლევების დადებითი მხარეები. თუმცა გამოხმაურებებში გაცემული რეკომენდაციები ზოგადია და ნაკლებად ორიენტირებულია პროგრამის შეფასებაზე. ასევე კანადის უნივერსიტეტიდან მიღებულ გამოხმაურებაში აღნიშნულია, რომ პროგრამა აძლევს დოქტორანტებს არჩევანის საშუალებას ისტორიის, ეთნოლოგიისა და ფილოლოგიის შორის, რაც შესაბამის დონეზე არც პროგრამაში და არც კურიკულუმში არ ვლინდება.
- o

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ გამოხმაურება ათენიდან; ○ შეფასება თურქეთიდან; ○ შეფასება კანადიდან
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს მიზნობრივად, საზღვარგარეთ არსებულ ქართველოლოგიურ/კავკასიოლოგიურ კვლევით ცენტრებში; ○ მოხდეს გარე შეფასების დროს შეფასებითი და სარეკომენდაციო საკითხების სავალდებულო კომპონენტად შეტანა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიყენება პროგრამის შემუშავებისა და პერიოდული მონიტორინგის სისტემა. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა ახალია, თუმცა მანამდე არსებული სადოქტორო პროგრამის მონიტორინგი რამდენჯერმე განხორციელდა დოქტორანტების, დამსაქმებლების, აკადემიური, ადმინისტრაციული და პროგრამაში მონაწილე სხვა პირების ჩართვით უნივერსიტეტში არსებული შიდაგანაწესის მიხედვით, რომლის შესაბამისად პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული პირები ავსებდნენ საგანგებოდ შედგენილ კითხვარებს. აღნიშნული კითხვარების ფორმები თან ერთვის დოკუმენტაციას და, სავარაუდოდ, პროგრამის განხორციელების შემთხვევაში გამოყენებული იქნება მონიტორინგის დროს.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სადოქტორო პროგრამა ფილოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 65

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პოპიაშვილი




აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ირინე ლოზუანიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა
მაცა ელბაქიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნანი მანველიშვილი

